ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 71
31/08/2018

71-08-4-201808311521

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის(ისტორიული უბანი - ბახმარო)დასახლების(დაბა) შექმნის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, „დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N307 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას წინადადება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის(ისტორიული უბანი - ბახმარო)დასახლების(დაბა) შექმნის თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა